ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1183624

ნომერი: AR1200661

თარიღი : 28.02.2014

გაცემის თარიღი : 24.03.2014

გაცნობის თარიღი : 10.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 3 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ახუნდოვი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლია სვანიძე პ/ნ 33001002550
- საბურთალოს ქ. 30 ბ. 35

ორგანიზაცია:
- შპს გლორია კოდი: 404379338

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ საკითხი განსახილველად გადაეცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ურბანული მემკვიდრეობის სექციას, რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება (05.03.2014წლის N02/08-1350 წერილი).
ამასთან, საკითხის შესწავლისას სამსახურის მიერ თქვენს მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ:
1. დასაზუსტებელია მოთხოვნის ტექსტი, რადგანაც მასში ხარვეზით არის წარმოდგენილი არსებული და საპროექტო მოაჯირების სიმაღლეები, კერძოდ მოთხოვნილია მოაჯირის სიმაღლის გაზრდა და ამასთან ერთად არსებულის სიმაღლე მითითებულია 90სმ, ხოლო საპროექტო მოაჯირის – 80სმ.;
2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათების pdf ფაილში : არ არის მითითებული არსებული მოაჯირის სიმაღლე;
3. ფოტომონტაჟის pdf ფაილში : არ არის წარმოდგენილი ფოტომონტაჟი, არამედ წარმოდგენილია მინდობილობის დოკუმენტი;
4. მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილში: მინდობილობის ნაცვლად, წარმოდგენილია ფოტომონტაჟი.
5. ფოტომონტაჟზე დასაზუსტებელია მოაჯირის სიმაღლე, კერძოდ ფოტომონტაჟზე აღნიშნულია, რომ მოაჯირის სიმაღლე არის 80სმ. მოთხოვნის ტექსტში არსებული ხარვეზების გათვალისწინებით, საჭიროა დაზუსტდეს – მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს 80სმ, თუ 90 სმ.
ამასთნ ერთად ფოტომონტაჟზე უნდა იყოს მითითებული მოაჯირის მასალა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.